ხელშეკრულება N 11

მომსახურების გაწევის თაობაზე

ქ. სამტრედია „ 1/III „ 2017 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ [illegible] (შემდგომში „ შემსყიდველი") დირექტორი: [illegible] და მეორეს მხრივ, შ.პ.ს „დეზრაზმი" მისი დირექტორის თეიმურაზ თევზაძის სახით, შემდგომში „შემსრულებელი", შევთანხმდით და დავდეთ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი CPV – 90900000

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად „ შემსრულებელი" უზრუნველყოფს პროფილაქტიკური სადეზინფექციო სამუშაოების (დეზინფექცია, დეზინსექცია, დერატიზაცია) ჩატარებას.

2.მხარეთა უფლება-მოვალეობანი:

2.1„შემსყიდველი" ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით და ოდენობით.

2.2„შემსყიდველი" უფლებამოსილია მოსთხოვოს „შემსრულებელს" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულება.

2.3შემსყიდველი ვალდებულია:

2.3.1მოახდინოს წინამდებარე ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული „მომსახურების" გაწევა მოქმედი ნორმატიული აქტების მეთოდიკის გათვალისწინებით.

2.3.2კეთილსინდისიერად და დროულად შეასრულოს მასზე ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულება.

3.„მომსახურების"ხარისხი:

3.1"შემსრულებელი" იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს „შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4.„მომსახურების" გაწევის წესი, მიღება- ჩაბარების წესი, ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ადგილი.

4.1„მომსახურების" გაწევა ხდება 2017 წლის 1/III 2017 წლის 30/VI

4.2„მომსახურების თანხა შეადგენს 140 ლარი.

4.3„შემსრულებელს" და 'შემსყიდველს" შორის სამუშაოს შესრულებისას ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერენ მხარეთა მიერ უფლებამოსილი პირები.

5.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა:

5.1ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის გარემოებები რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით.

5.2„შემსრულებელთან" დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად „ შემსყიდველისათვის" იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები.

5.3თუ წინამდებარე ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ერთ-ერთი მხარე წერილობით არ შეატყობინებს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება.

6.ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა.

6.1ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ვალდებულებების სრულად ამოწურვამდე.

6.2მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

7. დასკვნითი დებულებები

7.1ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად.

7.2 მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ყველა სადავო საკითხი წყდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

7.3 ხელშეკრულებაში შეტანილი ყველა ცვლილება და დამატება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

7.4 ხელშეკრულების ცალკეული მუხლის და/ან პუნქტის ბათილობა ან ძალადაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი სხვა ნაწილების ნამდვილობაზე.

7.5 ნებისმიერი ცვლილება/დანართი/ დამატება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დრიდან და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მხარეთა იურიდიული მისამართები და ხელმოწერები:

დამკვეთი	შემსრულებელი
ბახრის საჯარო სკოლა	შპს „დეზრაზმი"
ს/კ 222445897	კოდი: 438729645
სს ლიბერთი ბანკი	ანგ N GE41BR0000010664789423
LBRTGE22	რესპუბლიკა ბანკი
GE13LB0121113234333000	ტელეფონი: 555 222 132